თბილისის არქიტექტურა

ქალაქ თბილისის მერიის საჯარო სამართლის იურიდიული პირი

თბილისის არქიტექტურის სამსახური

ბრძანება №3868231

ნომერი: AR1579650

თარიღი : 23.02.2018

გაცემის თარიღი : 16.03.2018

გაცნობის თარიღი : 16.03.2018

შედეგი : თანხმობა.

ობიექტის მისამართი :

ქალაქი თბილისი , გუდამაყრის ქუჩა N25;

დამკვეთი-განმცხადებელი
- ნინო სხირტლაძე პ/ნ 01007015559
- თბილისი ვ.ბაგრატიონის ქ. N 32

ნომენკლატურა :

- სამართლებრივი საკითხები
- ტექნიკური ხარვეზის გასწორება ადმინისტრაციულ - სამართლებრივ აქტში

ვბრძანებ

ქ. თბილისის მუნიციპალიტეტის სსიპ – ქ. თბილისის მუნიციპალიტეტის არქიტექტურის სამსახურის 2016 წლის 28 იანვრის №2406900 ბრძანებაში ტექნიკური შეცდომის გასწორების თაობაზე
ქ. თბილისის მუნიციპალიტეტის სსიპ – ქ. თბილისის მუნიციპალიტეტის არქიტექტურის სამსახურს 2018 წლის 23 თებერვლის №AR1579650 განცხადებით მომართა ნინო სხირტლაძემ და მოითხოვა ამავე სამსახურის 2016 წლის 28

იანვრის №2406900 ბრძანებაში ტექნიკური შეცდომის გასწორება, ტექნიკურ - ეკონომიკურ მაჩვენებლებთან დაკავშირებით.

სამსახურმა, საქართველოს ზოგადი ადმინისტრაციული კოდექსის 96-ე მუხლის მოთხოვნათა შესაბამისად, შეისწავლა საქმისთვის არსებითი მნიშვნელობის მქონე გარემოებები და დაადგინა, რომ ქ. თბილისის მუნიციპალიტეტის სსიპ – ქ. თბილისის მუნიციპალიტეტის არქიტექტურის სამსახურის 2016 წლის 28 იანვრის №2406900 ბრძანებით, შეთანხმდა ქ. თბილისში, სექტორი ნაძალადევი, გუდამაყრის ქუჩაზე, N25, ნინო სხირტლაძისა და მიხეილ სხირტლაძის საკუთრებაში არსებულ მიწის ნაკვეთზე (საკ. კოდი: №01.12.06.015.014), მრავალბინიანი საცხოვრებელი სახლის არქიტექტურული პროექტი და 2016 წლის 29 იანვრის №2422273 ბრძანებით გაიცა მშენებლობის ნებართვა. მშენებლობის ვადა განისაზღვრა 2016 წლის 10 თებერვლიდან 2017 წლის 10 აგვისტოს ჩათვლით.

სამსახურის 2017 წლის 13 ნოემბრის №3665319 ბრძანებით შეტანილ იქნა ცვლილება ქ. თბილისის მუნიციპალიტეტის სსიპ – ქ. თბილისის მუნიციპალიტეტის არქიტექტურის სამსახურის 2016 წლის 28 იანვრის №2406900 ბრძანებაში, კერძოდ: საერთო ფართობად დაფიქსირდა 1838.3 კვ.მ, საცხოვრებელ ფართობად 1130.1 კვ.მ, საზაფხულო ფართობად 211.1 კვ.მ.

ასევე სამსახურის მიერ, 2018 წლის 16 თებერვლის №3823992 ბრძანებით შეტანილ იქნა ცვლილება ქ. თბილისის მუნიციპალიტეტის სსიპ – ქ. თბილისის მუნიციპალიტეტის არქიტექტურის სამსახურის 2016 წლის 28 იანვრის №2406900 ბრძანებაში, კერძოდ: ქ. თბილისის მუნიციპალიტეტის სსიპ – ქ. თბილისის მუნიციპალიტეტის არქიტექტურის სამსახურის 2016 წლის 28 იანვრის №2406900 ბრძანებით შეთანხმებული 0.00, +2.90, +6.20, +9.50 და +12.80 ნიშნულებზე მდებარე გეგმები ჩანაცვლდა 2018 წლის 17 იანვარს №AR1571104 განცხადებაზე წარმოდგენილი 0.00, +2.90, +6.20, +9.50 და +12.80 ნიშნულებზე მდებარე გეგმებით.

განმცხადებლის განმარტების თანახმად, ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის სსიპ – ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის არქიტექტურის სამსახურის 2016 წლის 28 იანვრის №2406900 ბრძანებით შეთანხმებულ გეგმებზე არასწორად აისახა ტექნიკურ–ეკონომიკური მაჩვენებლები და შესაბამისად, ითხოვს ტექნიკური შეცდომის გასწორებას, კერძოდ: 2016 წლის 28 იანვრის №2406900 ბრძანებით შეთანხმებული 0.00, +2.90, +6.20, +9.50 და +12.80 ნიშნულებზე მდებარე გეგმების 2018 წლის 23 თებერვლის №AR1579650 განცხადებასთან ერთად წარმოდგენილი 0.00, +2.90, +6.20, +9.50 და +12.80 ნიშნულებზე მდებარე გეგმებით ჩანაცვლებას.

სამსახურმა, განმცხადებლის მიერ წარმოდგენილი შეცვლილი გეგმები შეადარა შეთანხმებულ საპროექტო გეგმა-ნახაზებს და დაადგინა, რომ გეგმებზე არასწორად იქნა ასახული ტექნიკურ–ეკონომიკური მაჩვენებლები. ამასთან, სამსახურმა დაადგინა, რომ გეგმები არ იცვლება, უბრალოდ ხდება გეგმებზე ფართობების დაზუსტება.

საქართველოს ზოგადი ადმინისტრაციული კოდექსის 59-ე მუხლის თანახმად, ადმინისტრაციულ-სამართლებრივ აქტში ტექნიკური შეცდომის გასწორების უფლება აქვს მის გამომცემ ადმინისტრაციულ ორგანოს.

ამდენად, სამსახურმა მიზანშეწონილად მიიჩნია განმცხადებლის მოთხოვნის დაკმაყოფილება ქ. თბილისის მუნიციპალიტეტის სსიპ – ქ. თბილისის მუნიციპალიტეტის არქიტექტურის სამსახურის 2016 წლის 28 იანვრის №2406900 ბრძანებაში ტექნიკური შეცდომის გასწორების თაობაზე.

ყოველივე ზემოაღნიშნულიდან გამომდინარე, საქართველოს ზოგადი ადმინისტრაციული კოდექსის 59-ე მუხლის თანახმად,

ვბრძანებ:

1. გასწორდეს ტექნიკური შეცდომა ქ. თბილისის მუნიციპალიტეტის სსიპ – ქ. თბილისის მუნიციპალიტეტის არქიტექტურის სამსახურის 2016 წლის 28 იანვრის №2406900 ბრძანებაში, კერძოდ: ქ. თბილისის მუნიციპალიტეტის სსიპ – ქ. თბილისის მუნიციპალიტეტის არქიტექტურის სამსახურის 2016 წლის 28 იანვრის №2406900 ბრძანებით შეთანხმებული 0.00, +2.90, +6.20, +9.50 და +12.80 ნიშნულებზე მდებარე გეგმები ჩანაცვლდეს 2018 წლის 23 თებერვლის №AR1579650 განცხადებაზე წარმოდგენილი 0.00, +2.90, +6.20, +9.50 და +12.80 ნიშნულებზე მდებარე გეგმებით.
2. ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის სსიპ - ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის არქიტექტურის სამსახურის 2016 წლის 28 იანვრის №2406900 ბრძანება დანარჩენ ნაწილში დარჩეს უცვლელი.
3. წინამდებარე ბრძანება განხილულ იქნას ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის სსიპ - ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის არქიტექტურის სამსახურის 2016 წლის 28 იანვრის №2406900 ბრძანებასთან ერთად.
4. ბრძანება შეიძლება გასაჩივრდეს ქ. თბილისის მუნიციპალიტეტის მერთან, (მის: ქ. თბილისი, ჟ. შარტავას ქუჩა №7), კანონმდებლობით დადგენილი წესით, მისი ოფიციალური წესით გაცნობიდან ერთი თვის ვადაში.

თბილისის მერიის საჯარო სამართლის იურიდიული პირი
" თბილისის არქიტექტურის სამსახური"
საქართველო, თბილისი 0160 ჭ. შარტავას 7

ტელ. [+995 32] 272 22 22
ფაქს. [+995 32] 237 82 24
Info@tas.ge
უფრო მეტი - tas.ge